სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 მაისი, 2024 წ

ბრძანება N 01-02/61

„2024-2025 სასწავლო წლისთვის ანჟეს უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 02 მაისის №01-02/58 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ERASMUS+" გაცვლითი პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (20.05.2024 წლის №543529) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „2024-2025 სასწავლო წლისთვის ანჟეს უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 02 მაისის №01-02/58 ბრძანების პირველი პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   1. 2024-2025 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ანჟეს (საფრანგეთი) უნივერსიტეტში, ბსუ-ს ტურიზმის მიმართულების საერთაშორისო მობილობის მონაწილე 1 აკადემიური/მოწვეული და 1 ადმინისტრაციული პერსონალის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:

   1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება - **2024 წლის 01 მაისიდან - 21 მაისის ჩათვლით 15:00 საათამდე:**

   ა) აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით;

   ბ) მოწვეული მასწავლებელთა პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ელექტრონულ ფოსტაზე info@bsu.edu.ge;

   1.2. საბუთების შემოწმება და შეფასება - **2024 წლის 21 მაისი -16:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

   1.3. გასაუბრება კომისიასთან - **2024 წლის 21 მაისი, 17:00 საათი;**

1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული **კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება** მიმღები უნივერსიტეტისათვის - არაუგვიანეს **2024 წლის 22 მაისი.**

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი დაკორექტირდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**